

წოდებითი ზოგის დაბოლოება

წოდებითის დაბოლოება უძველესი დროიდან მოყოლებული ზოგად სახელებთან -ო იყო. იგი დღევანდლამდის შერჩა ბოლოთანხმოვნიან სახელებს: **ამხანაგ-ო, მეზობელ-ო** და სხვა; ხმოვნით გათავებულ ფუძეებთან კი წოდებითის -ო იქცა ვ-დ ან სულ დაიკარგა და ამიტომ მივიღეთ ასეთი ბარალელური ფორმები: **დედა-ვ** და **დედა, მებაღე-ვ** და **მებაღე, წყარო-ვ** და **წყარო** და სხვა.

აღამიანთა საკუთარ სახელებს დაბოლოება თავიდანვე არა ჰქონია: **პეტრე!** **დავით!** **ვახტანგ!** **ეთერ!**

ხმოვანფუძიანი აღამიანთა საკუთარი სახელების -ვ დაბოლოებიანი ფორმები წოდებითისა, რაც არაიშვიათად გვხვდება მწერლობაში (**პეტრე-ვ, პარბატე-ვ** და მისთანანი), დიალექტურია ისევე, როგორც ბოლოთანხმოვნიან აღამიანის საკუთარ სახელთა -ო დაბოლოებიანი ფორმები (**დარეჯან-ო, ქეთევან-ო, ბეჟან-ო...**).

უკანასკნელ ხანებში სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელდა და (იშვიათად, მაგრამ მაინც) წიგნის ენაშიც გვხვდება ბოლოთანხმოვნიან აღამიანის საკუთარ სახელთა წოდებითის ფორმები, რომლებიც სახელობითის ფორმებს იმეორებს (**ნოდარი!** **გურამი!** **თენგიზი!** **ეთერი!**). ასეთი ფორმები უკუსაგდება, როგორც ლიტერატურული ენის თვალსაზრისით საკლებით უმართებულო.

წოდებითში სახელები ასე უნდა გაფორმდეს:

ა) ბოლოთანხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს -ო დაბოლოებით: მაგ.: **კაც-ო, ამხანაგ-ო, მეგობარ-ო, თავ-ო, წყალ-ო, სახლკარ-ო** და სხვ.

ბ) ბოლოხმოვნიანი ორ- და მეტმარცვლიანი ზოგადი სახელები წოდებითში იხმარებოდეს პარალელური ფორმებით: -ვ დაბოლოებით ან უდაბოლოებოდ (ე. ი. ფუძის სახით); მაგ.: **ქვეყანა-ვ** და **ქვეყანა, მიწა-ვ** და **მიწა, მებაღე-ვ** და **მებაღე, წყარო-ვ** და **წყარო, სამშობლო-ვ** და **სამშობლო** და სხვ.

დაბოლოების გარეშე იხმარებოდეს უ ბოლოხმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები: **ძუძუ** და სხვა.

გ) ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში გადმოიცეს -ო დაბოლოებით: **ძმა-ო** („ძმავო, რა ტკბილად, რა უდარდელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ...“ — ილია), **და-ო, მთა-ო** („მთავო, გადმიშვი, გადმიშვი!...“ — ხალხური), **მზე-ო** („მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“ — ხალხური), **ხბო-ო, ყრუ-ო** და სხვ.

შენიშვნა: ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ლექსებში, დასაშვებია ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში იხმარებოდეს -ვ დაბოლოებით: მაგ.: **ძმა-ვ** („მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი...“ — ილია), **და-ვ, მზე-ვ** („მზევ, შინ შემოდიო!“ — ხალხური), **მთა-ვ** და სხვ.

დ) ადამიანის საკუთარი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს დაბოლოების გარეშე: გურამ, ნოდარ, თენგიზ, ეთერ, დავით, ლუკა, პეტრე, ელენე, შაქრო, დუტუ და სხვა.

ე) -ძე, -ვა, -უა და -ია-ზე გათავებული გვარები წოდებითში ადამიანის საკუთარ სახელებს გაუთანაბრდეს და ინმარებოდეს უდაბოლოებოდ: მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: ბაქრაძე, ჰავცავაძე, ქონქაძე... გუგუნავა, კუპრავა, ჯაბუა, ნოდია, ხოშტარია და სხვ.

ვ) ბოლოთანხმოენიანი გვარები წოდებითში ზოგად სახელებს გაუთანაბრდეს და -ო დაბოლოებით გაფორმდეს: მაშასადამე, იქნება: ბურდულო, წერეთლო, ცხვედიანო, გომართლო, ბართაშვილო და სხვა.

გ) ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები წოდებითში ზოგად სახელებს გაუთანაბრდეს და შესაბამისად გაფორმდეს; სახელობრ:

ბოლოთანხმოენიანებს დაერთოს -ო; მაგ. გორ-ო („გორო, ქართლის შუა-გული...“ —აკაკი), თბილის-ო, მოსკოვ-ო, ქუთაის-ო („მშვენიერო ქუთაისო, საგარდო და სამაისო...“ —აკაკი), თერგ-ო („ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ“.—ილია), მტკვარ-ო („ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი...“—ნ. ბარათ.), რიონ-ო, დნეპრ-ო და სხვა.

ბოლოხმოენიანებს დაერთოს -ვ ბოლოსართი ან ინმარებოდეს უდაბოლოებოდ. მაგ.: აბაშა-ვ და აბაშა, სამტრედია-ვ და სამტრედია, ოდესა-ვ და ოდესა, ვოლგა-ვ და ვოლგა და სხვა; ლაბა-ვ („ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...“—ილია) და ლაბა, ნიშა-ვ („ნიშავ, ნიკორას გაუწი, მგას მთაბი მხარია...“—რ. ერისთ.) და ნიშა, ნიკორა-ვ და ნიკორა, შვინდა-ვ („ჩემო შვინდავი“—შ. არაგვი) და შვინდა, ყურშა-ვ და ყურშა და სხვა.

თ) ქვემოჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია და, მაშასადამე, შერჩება სახელს ყველა ბრუნვაში.

ავქსენტი, აკაკი, ალექსი, ამბერკი, ამბროსი, ანატოლი, არკადი, ბიკენტი, გენადი, გერვასი, გერონტი, გვადი, გივი, გიორგი (გოგი), დევი, დიმიტრი, დომენტი, ევგენი, ევგრაფი, ევლამპი, ევსევო, ევტინი, ერასტი, ვალერი, ვახუშტი, ინოკენტი, ირაკლი, იური, კლიმენტი, კონნელი, კუკუჩი, ლავრენტი, ლავროსი, ლევარსი, ლეონტი, მელენტი, პროკოფი, რატი, სერგი, ტარასი, ტერენტი, ქიშვარდი, ქუჯი, ხარლამპი.

ალათი, გუგული, ედუკი, ვასასი, ლილი, ლალი, ლილოსი, მერი, ნანული, ნინელი, პუპი, ფატი და სხვ.

ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანთა საკუთარი სახელები თანხმოვნ ბგერებზე ბოლოვდება და, მაშასადამე, წოდებითში ასე უნდა ინმარებოდეს: უზანგ, ეთერ, ივლით, ზესიკ...

ი) იმ, -იმ და -იმ-ზე დამთავრებული რუსული გვარების გადმოცემისას ქართულში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: გორკი—გორკიმ, წოდ. გორკი! ჩერნიშევსკი—ჩერნიშევსკიმ, წოდ. ჩერნიშევსკი! ბუდიონი—ბუდიონიმ, წოდ. ბუდიონი! ტოლსტოი—ტოლსტოიმ, წოდ. ტოლსტოი! პოლევოი—პოლევოიმ, წოდ. პოლევოი!

უცხო გვარებში, რომელთაც რუსულში ბოლოკიდურად ი აქვთ, ქართულად გადმოცემისას ბოლოკიდური -ი ფუძეს განეკუთვნება: მაშასადამე, იქნება: ტორჩელი — ტორჩელიმ, წოდ. ტორჩელი! ბოტიჩელი—ბოტიჩელიმ, წოდ.

ბოტიჩელი! გარიბალდი—გარიბალდიმ, წოდ. გარიბალდი! მარინეტი—მარინეტიმ, წოდ. მარინეტი! მაძინი—მაძინიმ, წოდ. მაძინი! და ასე: პაგანინი, პუჩინი, პანინი და სხვ.

ეგვე წესი ვრცელდება გეოგრაფიულ სახელებზედაც: ტრიპოლი—ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი! დელი—დელიმ, წოდ. დელი!

კ) თანხმობაზე დაბოლოებული რუსული გვარები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს: ლებედევ-ი—ლებედევო! გრიბოედოვ-ი—გრიბოედოვო! და ასე: ამხანაგო ივანოვო! ამხანაგო პეტროვო!

ლ) უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს მაშინაც, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი და მაშინაც, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული. ბარონო! გრაფო! ვიკონტო! მარკიზო! ჰერცოგო! ლორდო! მილორდო! ჰერცოგო ველინგტონო! გრაფო გლოსტერო!

უცხოური „მადამ“, „მისტერ“, „მის“, „მისის“, „სერ“, „ლედი“ ქართულში გაუფორმებლად დარჩება.

მ) სკოლაში მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამოძახებისას სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული გვარების წოდებითში ხმარება ამჟამად უმართებულოდ ხმარებული სახელობითის ნაცვლად (ახათიან-ო, გომართელი-ო, დავითაშვილი-ო...), ხოლო სიაში ან ჟურნალში ამოკითხვისას—სახელობითში (ახათიან-ი, გომართელი, დავითაშვილი-ი და სხვ.).